2018/2019 გაზაფხულის სემესტრისა და 2019/2020 სასწავლო წლისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში პარტნიორი რომის საპიენცას და კადისის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2018/2019 გაზაფხულის სემესტრისა და 2019/2020 სასწავლო წლისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი

კანდიდატები შეირჩევიან პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე (outgoingmobility@tsu.ge). სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა

ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. მობილობის გავლენა ორ უნივერსიტეტს შორის ურთიერთობების გაძლიერებასა და გაფართოებაზე
2. სამუშაო გეგმა
3. მოტივაცია
4. უცხო ენის ცოდნის დონე

4. კომისიის შეფასება

აპლიკანტის სამუშაო გეგმის, მობილობის გავლენის, მოტივაციის და უცხო ენის ცოდნის დონის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.